

ହାରାପ ଅଳୋଚନା

ମାତ୍ରମଣ୍ଡଳ ଜୀବନିକା

2013



# დერეპ პრინცი

## გაცვლა ჯვარზე

### შემოთავაზება

უფალმა იესო ქრისტემ გააკეთა შემოთავაზება, რომელიც ეხება მთელს კაცობრიობას: “მოდით ჩემთან ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე დაგამშვიდებთ თქვენ”. არა აქვს მნიშვნელობა რა განსაკუთრებული სახის ტვირთი, საჭიროება ან პრობლემა გაგაჩნიათ. ღმერთს აქვს პასუხი თქვენთვის. მაგრამ არსებობს ერთადერთი ადგილი, სადაც თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ეს პასუხები – ჯვარი, რომელზეც მოკვდა ქრისტე. ჯვრის, მხოლოდ და მხოლოდ ჯვრის მეშვეობით არის შესაძლებელი მიიღოთ თქვენი საჭიროების აღვსება, პასუხი თქვენს საჭიროებაზე, ტვირთისაგან განთავისუფლება. წაიკითხეთ მომდევნო გვერდები იმედით და მოლოდინით!

## გაცვლა ჯვარზე

მთელი ახალი აღთქმის არსი და აზრი ბრუნავს ერთი უნიკალური ისტორიული მოვლენის ირგვლივ, ესაა იესოს მსხვერპლიანი სიკვდილი ჯვარზე. ამასთან მიმართებაში ეპრაელთა წერილის ავტორი ამბობს: “ვინაიდან მან, (იესომ) ერთი შენირვით სამუდამოდ სრულყოფილი გახადა ისინი, რომელნც წმიდავდებიან” ეპრ. 10:14; ორი ძლევამოსილი გამონათქვამი აქ ერთადაა გამოყენებული: “სამუდამოდ” და “სრულყოფილი”. ერთად ისინი ასახავენ მსხვერპლს, რომელსაც შეუძლია პასუხი გასცეს მთელი კაცობრიობის ყოველ საჭიროებას. უფრო მეტიც, მისი გავლენა გრძელდება არა მხოლოდ დროის სფეროში, არამედ გადადის მუდმივობაშიც. სწორედ ამ მსხვერპლის საფუძველზე წერს პავლე ფილიპელთა 4:19-ში: “ხოლო ჩემი ღმერთი აღა-კსებს თქვენს ყოველ საჭიროებას თავისი სიმ-დიდოსამებრ ქრისტე იესოში დიდებით.” თქვენი ყოველი საჭიროება მოიცავს თქვენი ცხოვრების ყველა სფეროს: თქვენს სხეულს, თქვენს სამშვინველს, თქვენს გონებას, თქვენს ემოციებს ისევე, როგორც თქვენს მატერიალურ და ფინანსურ საჭიროებას. არაფერია იმდენად დიდი ან იმდენად მცირე, რომელიც არ შეიძლება რომ არ იყოს გათვალისწინებული ღვთიურ უზრუნველყოფაში. ერთადერთი, ცალკეული მოქმედებით, ღმერთმა თავი მოუყარა კაცობრიობის ყველა საჭიროებას და განსაცდელს დროის ერთ კულმინაციურ მომენტში. ღმერთს არ მოუტანია სხვადასხვანაირი გადაწყვეტილება ადამიანთა მოდგმის აურაცხელი რაოდენობის პრობლემებზე. ამის ნაცვლად ის გვთავაზობს ერთ ყოვლისმომცველ გამოსავალს, რომელიც არის მისი პასუხი ყველა პრობლემაზე. ჩვენ შეიძლება გვქონდეს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული წარმომავლობა და ცხოვრებისეული ფონი, ყოველ ჩვენგანს ამძიმებს საკუთარი განსხვავებული

ტვირთი, მაგრამ, იმისთვის, რომ მივიღოთ ლვთი-ური გამოსავალი, ჩვენ უნდა წარვმართოთ ჩვენი გზები ერთი მიმართულებით, იესოს ჯვრისკენ. ყველაზე სრული ანგარიში იმის თაობაზე, თუ რას ვაღწევთ ჯვრის საშუალებით, მოცემულია წინას-წარმეტყველ ესაიას მიერ 700 წლით ადრე, ვიდრე ეს მოვლენა რეალურად მოხდებოდა. **ესაიას 53:10-**ში წინასწარმეტყველი ასახავს “**უფლის მსახურს**,” ვისი სიცოცხლეც უნდა შეწირულიყო ღმერთისათვის, როგორც მსხვერპლი ცოდვის მისატევებლად. ახალი აღთქმის ავტორები ერთსულოვნები არიან ამ დაუსახელებელი **“მსახურს”** იდენტიფიცირებაში, რომ ეს იესოა. ლვთიური მიზანი, აღსრულებული მის მსხვერპლში, შეჯამებულია **ესაიას 53:6-**ში:

ჩვენ ყველანი ცხვრებივით გზას ავცდით და თი-თოეული ჩვენგანი თავის გზას დაადგა. და უფალ-მა მას დააკისრა, ყველა ჩვენგანის ურჯულოება.

აქ არის ძირითადი, მთელი კაცობრიობის უნივერსალური პრობლემა: თითოეული ჩვენგანი თავის გზას დაადგა. არსებობს უამრავი სახეობის ცოდვა, რომელსაც მრავალი ჩვენგანი არა-სოდეს ეძლევა, როგორიცაა მკვლელობა, მრუშობა, ქურდობა და ა.შ. მაგრამ, ეს ერთი რამ ყველა ჩვენგანისთვის დამახასიათებელია: თითოეული თავის გზას დაადგა. ასეთად მომქმედებ-მა ზურგი ვაქციეთ ღმერთს. ებრაული სიტყვა, **აფონ**, რომლითაც აქ შეჯამება ხდება, ნათარგმ-ნია როგორც **ურჯულოება**. ამ სიტყვის შედარე-ბით ზუსტი თარგმანი ქართულად უფრო **ამბოხი** იქნება, არა კაცის, არამედ ღმერთის წინააღმდეგ-თუმცა არცერთი სიტყვა, არც **ურჯულოება** და არც **ამბოხი**, არ გადმოსცემს სიტყვა **აფონ**-ის სრულ მნიშვნელობას. თავისი ბიბლიური გამოყ-ენებით სიტყვა **აფონ** აღწერს არა უბრალოდ უმართლობას, არამედ სასჯელსაც, ანუ ბოროტ შედეგს, რომელიც თან მოაქვს ამ უმართლობას.

მაგალითად, **დაბადების 4:13**-ში ნათქვამია, რომ მას შემდეგ, რაც ღმერთმა გაასამართლა კაენი თავისი ძმის მკვლელობისთვის, კაენმა თქვა: ინგლისურ თარგმანში - “უფრო დიდია ჩემი სასჯელი, ვიდრე მე შემიძლია გავუძლო!” ქართულში კი “დიდია ცოდვა ჩემი, მიუტევებელია! სიტყვა, რომელიც აქ ითარგმნა როგორც სასჯელი, იყო **ავონ**. იგი გად-მოსცემს არა მხოლოდ კაენის ურჯულოებას, არამედ სასჯელსაც, რომელიც ამ უმართლობამ მოუტანა თან.

**ლევიანების 16:22**-ში, სადაც წერია განტევების ვაცზე, რომელიც უნდა გაეშვათ გამოსყიდვის დღეს, უფალ-მა თქვა: ”წაიღებს ვაცი თავისი თავით უდაბურ ქვეყანაში ყველა მათ ცოდვას,” ამ სიმბოლიონებით ვაცს მიჰქონდა არა მხოლოდ ისრაელიანთა უმართ-ლობა, არამედ მათი უმართლობის ყველა შედეგიც.

**გოდება იერემიასი მე-4-ე თავში სიტყვა ავონ** ერთი და იგივე მნიშვნელობით ორჯერაა ნახ-სენები. მე-6-ე მუხლში ნათარგმნია: “გადააჭარბა ჩემი ერის ურჯულოებამ (ინგლისურში - ურჯუ-ლოების სასჯელმა) სოდომის ცოდვებს” და 22-ე მუხლში: “დაგსჯის შენ ურჯულოების გამო.” ორივე შემთხვევაში ერთი სიტყვა **ავონ** ნათარგმ-ნია მთელი ფრაზით **ურჯულოების სასჯელი**. სხ-ვაგვარად რომ ვთქვათ, **ავონ**-ის სრული მნიშ-ვნელობა არა უბრალოდ **ურჯულოებაა**, არამედ თავისში მოიცავს მთელს იმ ცუდ შედეგს, რაც ღმერთის სამართლიანობას მოაქვს უმართლობაზე. ეს შედეგი შეეხო იესოს მსხვერპლს ჯვარზე. იესო თვითონ არანაირ ცოდვაში არ იყო დამნაშავე.

**ესაიას 53:9**-ში წინასწარმეტყველი ამბობს, “თუმცა არ ჩაუდენია მას ძალადობა და სიცრუე არ იყო მის ბავეში.” მაგარმ მე-6-ე მუხლში ის ამ-ბობს, “უფალმა მას დააკისრა ყველა ჩვენგანის ურჯულოება” **ავონ**. იესო უბრალოდ გაიგივებული კი არ იყო ჩვენს ურჯულოებასთან, მან აგრეთვე თავის თავზე აიღო ყველა ის ცუდი შედეგი, რაც

ამ ურჯულოებას მოჰყვა. როგორც განტევების ვაცი, რომელიც მის ერთ-ერთ წინასახეს სიმბოლი-რებდა, მან წაიღო ჩვენი ურჯულოებანი ჩვენგან ისე, რომ ისინი აღარასოდეს დაბრუნდებიან. ეს არის ჯვრის ნამდვილი აზრი და მიზანი. ჯვარზე მოხდა ღვთის მიერ გათვალისწინებული გაცვლა. უპირველეს ყოვლისა იესომ საკუთარ თავზე იტვირთა მთელი ის ცუდი შედეგი, რაც ღვთიური სამართლიანობით წარმოიშვა ურჯულოების მიმართ. ხოლო ჯვარზე გაცვლით ღმერთი გვთავაზობს ჩვენ ყველა იმ სიკეთეს, რაც წარმოიშვა უცოდველი იესოს მორჩილებით. უფრო მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ, ბოროტება ჩვენი მეშვეობით მოვიდა იესოზე, ხოლო საპასუხოდ, იესოს მეშვეობით გახდა შესაძლებელი, რომ სიკეთე შემოთავაზებულიყო ჩვენთვის. ღმერთს შეუძლია ეს სიკეთე შემოგვთავაზოს საკუთარ სამართლიანობასთან მუდმივი კომპრომისის გარეშე, რადგან იესომ უკვე აიღო საკუთარ თავზე დამსახურებული სასჯელი ჩვენს ნაცვლად, ჩვენი ურჯულოების გამო. ყოველივე ეს გამომდიარეობს მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის წარმოუდგენლად დიდი მადლიდან და მიიღება მხოლოდ და მხოლოდ რწმენით. არავითარი ლოგიკური ახსნა არა აქვს არც მიზეზს და არც შედეგს. არცერთ ჩვენგანს არასოდეს არ გაუკეთებია არაფერი ისეთი, რომ დაემსახურებინა ასეთი შემოთავაზება და არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია გააკეთოს რაიმე იმისათვის, რომ მოიპოვოს იგი.

წერილი ცხადყოფს ამ გაცვლის ბეჭრ სხვადასხვა ასექტს და ბეჭრ სხვადასხვა სფეროს, რომელშიც იგი გამოიყენება. თუმცა, ყველა შემთხვევაში, ერთი და იგივე პრინციპი რჩება სიკეთედ: **სასჯელი მოვიდა იესოზე, რათა პასუხად შესაძლებელი ყოფილიყო სიკეთის შემოთავაზება ჩვენთვის.** პირველი ორი ასექტი ცხადი ხდება ჩვენთვის ესაიას 53:4-5-ში:

მაგრამ იტვირთა მან ჩვენი სწეულებანი და ჩვენი ტკივილებით გაიტანჯა, ჩვენ კი ვფიქრობ-დით, რომ ნაგვემი იყო, ღმერთის მიერ ნა-ცემი და წამებული. მაგრამ ის დაჭრილი იყო ჩვენს დანაშაულთა გამო, დალენილი – ჩვენი ურჯულოების გამო; ჩვენი სასჯელი მასზე იყო; და მისი ჭრილობებით ჩვენ განვიკურნეთ.

ორი ჭეშმარიტებაა აქ ჩაქსოვილი, ერთი ეხება სულიერს, მეორე ფიზიკურს. სულიერ სამყაროში, იესომ მიიღო სასჯელი ჩვენი უმართლობის და ურჯულოების გამო, რომ ჩვენ ვყოფილიყავით ნაპატიები და ამგვარად მშვიდობა გვქონოდა ღმერთ-თან (იხ. **რომაელთა 5:1**). ხოლო ფიზიკურ სამყარო-ში, იესომ აიღო ჩვენი სწეულებანი და ტკივილი, რათა ჩვენ მის ჭრილობებში მიგვეღო განკურნება.

ჯვარზე გაცვლის ფიზიკური ასპექტი დადასტურებულია ახალი აღთქმის ორ ადგილას. **მათეს 8:16-17** ციტირებულია **ესაიას 53:4** და წერია, რომ იესომ: „...ყველა სწეული განკურნა. რათა აღსრულებულიყო ესაია ნინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, რომელიც ამბობს: “მან აიღო ჩვენი უძლურებანი და იტვირთა ჩვენი სწებანი.”“ კიდევ ერთი, **13ეტრეს 2:24**-ში მოციქული ასევე ეხება **ესაიას 53:5-6** და იესოს შესახებ ამბობს: „...რომელმაც ჩვენი ცოდვები თვითონვე აზიდა ძელზე თავისი სხეულით, რათა ცოდვისთვის მკვდრებმა სიმართლისათვის ვიცოცხლოთ; ვისი ჭრილობებითაც თქვენ განკურნეთ.“

ეს ორმაგი გაცვლა, აღწერილი ზემოთხსენებულ მუხლებში, შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

**იესო დაისაჯა, რათა ჩვენ გავემართლებინეთ.**  
**იესო ნაგვემი იყო, რათა ჩვენ მის ჭრილობებში განვეკურნეთ.**

ამ გაცვლის მესამე ასპექტი ცხადიხდება **ესაიას 53:10**-ში, რომელიც გვაუწყებს, რომ ღმერთმა იესოს სიცოცხლე აქცია „დანაშაულის მსხვერპლად.“

ეს აღქმული უნდა იყოს მოსეს დადგენილების სინათლეზე, ცოდვის შესაწირავი მსხვერპლის ხვა-დასხვა ფორმის შესახებ. ადამიანს, რომელიც შესცოდავდა, უნდა მიეტანა მსხვერპლშესაწირავი: ცხვარი, თხა, ხარი ან სხვა ცხოველი, მღვდლისთვის. მას უნდა ეღიარებინა თავისი ცოდვა ამ შესაწირავზე და მღვდელი სიმბოლურად გა-დასცემდა ადამიანის მიერ აღიარებულ ცოდვას ცხოველს. შემდეგ კი ცხოველი უნდა მოეკლათ იმ ცოდვის საზღაურად, რაც მასზე გადავიდა. ღმერთის ყოვლისმცოდნეობის გამო ყოველივე ეს დაწესებული იყო წინასახედ იმისა, რაც უნდა მომხდარიყო საბოლოოდ, იესოს ყოვლისმომცველი მსხვერპლით. ჯვარზე მთელი ქვეყნიერების ცოდვა გადავიდა იესოზე. ამის შედეგი აღწერილია **ესაიას 53:12**-ში: “სასიკვდილოდ განირა თავისი სული”. თავისი მსხვერპლით და სხვის ნაცვლად სიკვდილით იესომ გამოისყიდა მთელი ადამიანური მოდგმის ცოდვა.

**2კორნთელთა 5:21**-ში პავლე მიმართავს **ესაიას 53:10**-ს და იმავდროულად წარმოადგენს ამ გაცვლის პოზიტიურ ასპექტებს:

**გინც** ცოდვა არ იცოდა, ის გახდა ცოდვად ჩვენს გამო, რათა გავხდეთ ღვთის სამართლიანობა მასში.

პავლე არ ლაპარაკობს აქ რაიმე სახის სამართლიანობაზე, რომელსაც ჩვენი მცდელობით შეგვიძლია მივაღწიოთ, არამედ ღვთიურ სამართლიანობაზე, რომელმაც არ იცოდა ცოდვა არასოდეს. ვერცერთი ჩვენგანი ვერასოდეს დავიმსახურებთ ამას. ეს ისევე შორს არის ჩვენი სიმართლისაგან, როგორც ცა და მიწა. იგი მხოლოდ რწმენით შეიძლება მივიღოთ.

ჯვარზე გაცვლის ეს მესამე ასპექტი შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

**იესო იქცა ცოდვად ჩვენ ცოდვილი მდგო-მარეობის გამო, რათა ჩვენ შეგვძლებოდა გავ-მართლებულიყავით მისი სიმართლით.**

ჯვარზე გაცვლის შემდეგი ასპექტი არის ზე-  
მოთხსენებული ასპექტის ლოგიკური განმტკიცება.  
მთელი ბიბლია, როგორც ძველი, ასევე ახა-  
ლი აღთქმა ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ  
ცოდვის შედეგი სიკვდილია. **ეზეკიელის 18:4**-ში  
უფალი აცხადებს: “შემცოდავი სული მოკვდება.”  
**იაკობის 1:15**-ში მოციქული ამბობს “ჩადენილი ცოდვა  
შობს სიკვდილს.” როდესაც იესო გაიგივდა ჩვენს  
ცოდვასთან, გარდაუვალი გახდა ის, რომ მასაც  
უნდა განეცადა სიკვდილი, როგორც ცოდვის შედეგი.  
ამის დასადასტურებლად **ებრაელთა 2:9**-ში ავ-  
ტორი წერს, რომ “სიკვდილის განცდის გამო  
დიდებით და პატივით დაგვირგვინებულია იესო,  
რომელიც ოდნავ იყო დამცირებული ანგელოზთა  
ნინაშე, რათა მას ღვთის მადლით ეგემა სიკვდი-  
ლი ყველას გულისათვის.” სიკვდილი, რომლითაც  
ის მოკვდა, იყო გარდაუვალი შედეგი კაცო-  
ბრიობის ცოდვისა, რომელიც მან აიღო თავის  
თავზე. მან იტვირთა ყველა ადამიანის ცოდ-  
ვა და ამიტომ მოკვდა ყველა ადამიანის გამო.  
სანაცვლოდ ყველას, ვინც მიიღო მის მიერ მიტანილი  
შესანაცვლებელი მსხვერპლი, იესო ახლა სთავაზობს  
სამუდამო სიცოცხლეს. **რომაელთა 6:23**-ში პავლე  
ასახავს ორ აღტერნატივას ერთმანეთის გვერდით:  
ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო  
ღმერთის მადლის ნიჭი – მარადიული სიცოცხლე.

ამგვარად, მეოთხე ასპექტი შეგვიძლია ასე შევაჯამოთ:

**იესო მოკვდა ჩვენი სიკვდილით, რათა ჩვენ  
შეგვძლებოდა მიგვეღო მისი სიცოცხლე.**

ჯვარზე გაცვლის შემდეგი ასპექტი ჩამოყა-  
ლიბებულია პავლეს მიერ **2კორინთელთა 8:9**-ში:  
ვინაიდან იცით თქვენი უფლის იესოს მადლი;  
რომ იგი, თუმცა მდიდარი იყო,

თქვენს გამო გაღატაკდა, რათა თქვენ გამდი-  
დრებულიყავით მისი სიღატაკით.

აქ ცხადია რაში ხდება გაცვლა: სიღ-  
არიბიდან - სიმდიდრეში. იესო გაღარიბ-  
და, რათა ჩვენ შეგვძლებოდა გამდიდრება.  
როდის გაღარიბდა იესო? ზოგი ადამიანი წარ-  
მოსახავს მას როგორც ღარიბს მისი მიწაზე  
ყოფნის და მთელი ცხოვრების განმავლობაში, მა-  
გრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება. მას თან  
არ დაჰქონდა დიდი რაოდენობით ფული, მაგრამ,  
რაც სჭირდებოდა, არასდროს არაფერი არ აკლდა.  
ასევე, როდესაც მან წარგზავნა თავისი მოწა-  
ფები, მათაც ანალოგიურად, არაფერი აკლდათ  
(იხ. **ლუკას 22:35;**). ასე რომ, სიღარიბისგან შორს  
მყოფი იესო და მისი მოწაფები რეგულარულად  
აძლევდნენ ღარიბებს დახმარებას. (იხ. **12:4-8; 13:29.**)  
მართალია იესოს ფულის მოპოვების მეთოდები  
ხშირად არატრადიციული იყო, მაგრამ, ფულს  
ერთი და იგივე ფასეულობა აქვს, როგორც ბანკი-  
დან გამოტანილს, ასევე თევზის პირიდან ამოღე-  
ბულს (იხ. **მათეს 17:27;**). საკვებით უზრუნველყ-  
ოფის მეთოდებიც ზოგჯერ არატრადიციულობით  
გამოირჩეოდა, მაგრამ კაცს, რომელსაც შეუძლია  
უზრუნველყოს შთამბეჭდავი რაოდენობის საკვე-  
ბით 5000 კაცი (პლიუს ქალები და ბავშვე-  
ბი) ნორმალური სტანდარტებით, რა თქმა უნდა,  
ვერ ჩაითვლება ღარიბად (იხ. **მათეს 14:15-21;**)!  
ფაქტიურად, მთელი მისი მიწიერი მსახურების გან-  
მავლობაში იესომ ზუსტად ისე ასახა სიუხვე,  
როგორც ამას ბიბლია განსაზღვრავს. მას ყოველთ-  
ვის ჰქონდა ყველაფერი, რაც სჭირდებოდა ღმერ-  
თის ნების განსახორციელებლად თავის ცხოვრებაში.  
უფრო მეტიც, ამის გარდა ის გამუდმებით აძლევ-  
და უქონელთ და მისი მარაგი არ იშრიტებოდა.  
მაში, როდის გაღარიბდა იესო ჩვენი

გულისთვის? პასუხია: ჯვარზე. **მეორე რჯულის**  
**28:48;**-ში მოსე განსაზღვრავს აბსოლუტურ სილ-  
არიბეს ოთხი რამით: შიმშილი, წყურვილი, სი-  
შიშვლე და ყოველგვარი საჭიროება. იესომ ეს  
ყოველივე მთელი სისავსით განიცადა ჯვარზე.  
იგი მშიერი იყო. მას დაახლოე-  
ბით 24 საათის მანძილზე არ უჭამია.  
მას სწყუროდა. მის მიერ წარმოთქმულ ბოლო  
ფრაზებში ერთერთი იყო: **მწყურია!** (**იოანეს 19:28;**).  
ის შიშვლი იყო. **ჯარისკაცებ-**  
მა გახადეს მას მისი სამოსელი (**იოან.** 19:23;).  
იგი ყოველგვარ გასაჭირში იყო. მას თავისი აღა-  
რაფერი გააჩნდა. მისი სიკვდილის შემდეგ ის დამარხეს  
სხვის ტილოს სახვევში გახვეული, სხვის სამარხში  
(**ლუკას 23:50-53;**). ასე რომ, იესომ ზუსტად და სრული-  
ად იტვირთა აბსოლუტური სილარიბე ჩვენს ნაცვლად.  
**2 კორინთელთა 9:8**-ში პავლე უფრო სრულად წარმოგვიდ-  
გენს ჯვარზე შემდგარი გაცვლის ამ პოზიტიურ მხარეს:  
ხოლო ღმერთს ძალუბს გაგამდიდროთ ყოველ-  
გვარი მადლით, რათა თქვენ, ყველაფერ-  
ში მუდამ ყოველივეს საკმარისად მქონე-  
ნი, მდიდარნი იყოთ ყოველ კეთილ საქმეში.  
პავლე ძალინ ცდილობს ამ ყველაფერში ყურადღება  
გაამახვილოს იმაზე, რომ ერთადერთი რამ, რაც ამ  
გაცვლას საფუძვლად უდევს, არის მხოლოდ ღმერთის  
მადლი. ჩვენ მას ვერასოდეს დავიმსახურებთ. მისი  
მიღება მხოლოდ და მხოლოდ რწმენით შეიძლება.  
ძალიან ხშირად ჩვენი სიმდიდრე ისეთივე იქნე-  
ბა, როგორიც იყო იესოს სიმდიდრე მისი მიწა-  
ზე ყოფნის დროს. ჩვენ შეიძლება არ გვქონდეს  
დიდი რაოდენობის ნალდი ფული, ან დიდი დე-  
პოზიტი ბანკში, მაგრამ დღიდან დღემდე საკ-  
მარისად გვექნება ჩვენი საჭიროებებისთვის  
და ცოტა მეტიც, სხვების საჭიროებებისთვის.  
ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ამ დონის უზრუნ-  
ველყოფისთვის იესოს სიტყვებშია აღნიშნული,

რომელიც ციტირებულია **საქმეთა 20:35;**-ში: უფრო  
ნეტარია აძლევდე, ვიდრე იღებდე. ღმერთის მი-  
ზანია ის, რომ მის ყველა შვილს შეეძლოს  
ისიამოვნოს უფრო დიდი კურთხევებით, ამის-  
ათვის იგი საკმარისად გვაძლევს და უზრუნ-  
ველგვყოფს, რომ დაფაროს ჩვენი საჭიროებები  
და მოგვცეს აგრეთვე სხვებისთვის მისაცემიც.

ჯვარზე გაცვლის ეს მეხუთე ასპექტიც შეიძლება  
ასე შეჯამდეს:

### **იესომ აილო ჩვენი სიღარიბე, რათა ჩვენ შეგვ- ძლებოდა მისი სუხვის გაზიარება.**

ჯვარზე გაცვლა მოიცავს აგრეთვე ტანჯვის  
ემოციურ ფორმებსაც, რომელიც მოჰყვება ადამი-  
ანის ურჯულოებას. აქაც, კვლავ იესომ აილო  
თავის თავზე ბოროტი, რათა ჩვენ ჩვენის მხრივ ვი-  
სიამოვნოთ სკეთით. ორი ყველაზე უფრო სასტიკი  
ჭრილობა, რომელიც ჩვენზე იყო ჩვენი ურჯულოე-  
ბის გამო, არის სირცხვილი და უარყოფა, მაგრამ  
ჯვარცმისას ორივე მათგანი გადავიდა იესოზე.  
სირცხვილი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს თავ-  
ისი ინტენსიურობით, ძლიერი უხერხულობიდან,  
უღირსობის დაუძლეველ გრძნობამდე, რომელიც  
აბრკოლებს ადამიანს არა მხოლოდ ღმერთთან  
უმნიშვნელოვანეს ურთიერთობაში, არამედ ადამი-  
ანებთან ურთიერთობაშიც კი. ამის ერთერთი უმ-  
არტივესი მიზეზი, რომელიც უფრო და უფრო  
ხშირად გვხვდება ჩვენს თანამედროვე საზოგადოე-  
ბაში, არის ბავშვობაში სექსუალური ძალადო-  
ბის ან ძალადობის სხვა რაიმე ფორმები. ხშირად  
ეს ყველაფერი ტოვებს ისეთ იარებს, რომლის  
განკურნებაც მხოლოდ ღვთის მადლით შეიძლება.  
ებრაელთა წერილის ავტორი ჯვარცმულ იესოზე  
ამბობს, რომ მან მოითმინა ჯვარი, უგულებელყო

**სირცხვილი... ეპრ. 12:2;** ჯვარცმით დასჯა სიკვდილის ყველაზე სასირცხვილო ფორმა იყო, რომელიც დამნაშავეთა ყველაზე უფრო დაბალი ფენებისთვის გამოიყენებოდა. პიროვნებას ჯვარცმამდე მთლიანად ხდიდნენ სამოსელს და შიშველს ტოვებდნენ გამვლელთა თვალწინ, რომლებიც დასცინოდნენ მას. ეს იყო სირცხვილის ის ხარისხი და დონე, რომელიც იესომ აიტანა ჯვარცმისას (**მათეს 27:35-44;**). სირცხვილის ნაცვლად, რომელიც იესომ განიცადა, ღმერთის მიზანი იყო რომ მათთვის, ვისაც სწამთ მისი, მიენიჭებინა საუკუნო დიდება.

**ეპრაელთა 2:10-ში ავტორი ამბობს:**

ვინაიდან შეცვეროდა მას (ღმერთს)... ვინც მრავალი ძე მოიყვანა დიდებამდე, მათი გადარჩენს წინამძღვარი სრულეყო ტანჯვით.

სირცხვილმა, რომელიც იესომ იტვირთა ჯვარზე, გაუხსნა გზა ყველას, ვისაც სჯერა მისი, რომ განთავისუფლდნენ საკუთარი სირცხვილისგან და არა მხოლოდ ეს, არამედ, მან გვაზიარა თავის დიდებას, რომელიც მას ეკუთვნის მუდმივი უფლებით! არსებობს კიდევ ერთი ჭრილობა, რომელიც ხშირად უფრო დიდ აგონიაში გვაგდებს, ვიდრე სირცხვილი. ეს უარყოფაა. როგორც წესი, ის ყალიბდება დარღვეული ურთიერთობების სხვა და სხვა ფორმებისგან. თავის ადრეულ ფორმაში ის შეიძლება გამოწვეული იყოს მშობლების მიერ, რომლებმაც უარყვეს საკუთარი შვილები. უარყოფა შეიძლება აქტიური იყოს, გამოხატული უხეშად და ნეგატიურად; ან შეფარული, შეიძლება უბრალოდ გამოწვეული იყოს სიყვარულის და ბავშვის მიღების გამოხატვის ნაკლებობით ან უქონლობით. თუ ფეხმძიმე ქალი უარყოფით გრძნობებს განიცდის მის მუცლად მყოფი ბავშვის მიმართ, ბავშვი სავარაუდოდ დაიბადება უარყოფის განცდით, რომელიც მას ზრდასრულ ასაკშიც გაჰვება, შესაძლოა საფლავამდეც-ქორწინების ნგრევა უარყოფის კიდევ ერთი ხშირი

მიზეზია. ეს ძალიან ცოცხლად და ნათლადაა და-სურათებული უფლის სიტყვებში, **ესაიას 54:6**-ში:

რადგან როგორც ქალი, მიტოვებული და სულმწუხარე, მოგიხმო შენ უფალმა, და როგორც სიყმანვილის ცოლი, რომელიც მოძულებული იყო! ამბობს შენი ღმერთი. ღმერთის უზრუნველყოფა უარყოფის ჭრილობისგან განსაკურნავად მოცემულია **მათეს 27:46 და 50-**ში, სადაც აღნერილია იესოს აგონის კულმინაცია:

დაახლოებით მეცხრე საათზე შესძახა იესომ დიდი ხმით: ელი, ელი! ლამა საპაქთანი? ეს არის: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე? ხოლო იესომ კვლავ შესძახა დიდი ხმით და სული განუტევა.

სამყაროს ისტორიაში პირველად ძე ღვთისამ შესძახა თავის მამას და პასუხი არ მიუღია. ისე სრულად იყო იესო გაიგივებული ადამიანის უმართლობასთან და ურჯულოებასთან, რომ ღმერთის უკომპრომისო სიწმიდემ აიძულა საკუთარი ძის უარყოფაც კი. ამგვარად, იესომ იწვნია უარყოფა მისი ყველაზე უფრო საზარელი ფორმით: უარყოფა მამის მიერ. ამის შემდეგ, თითქმის მაშინვე, ის მოკვდა არა ჯვარცმით მიღებული ჭრილობებისგან, არამედ უარყოფით გამოწვეული გულგატებილობისგან. მათეს წერილი განაგრძობს თხრობას, თუ რა მოხდა მაშინვე: და აჲა ტაძრის ფარდა გაიხა ორად ზემოდან ქვემოთ... სიმბოლურად ამან გვაჩვენა ის, რომ გზა გაიხსნა ცოდვილი ადამიანისთვის, რათა ის შევიდეს პირდაპირ ურთიერთობაში წმიდა ღმერთთან. იესოს უარყოფამ გახსნა გზა ჩვენთვის, რომ მიღებულები ვყოფილიყავით ღმერთის მიერ, როგორც მისი შევიღები. ეს აღნერილია პავლეს მიერ **ეფესელთა 1:5-6**-ში:

წინასწარ განსაზღვრა ჩვენი შვილება იესო ქრისტეს მეშვეობით... მოგვმადლა თავის საყვარელში. იესოს უარყოფის შედეგად ჩვენ ვართ მიღებულები.

ღმერთისეული განკურნება სირცხვილის და უარყოფისგან არასოდეს ყოფილა იმაზე უფრო საჭირო, ვიდრე დღევანდელ დღეს. ჩემი შეფასებით, დღეს მსოფლიოში ზრდასრულთა სულ მცირე ერთი მეოთხედი იტანჯება სირცხვილის და უარყოფის ჭრილობებისგან. მე უზომო სიხარულს მანიჭებს ის, რომ შემიძლია ამ ხალხს მივასწავლო და მივუთითო განკურნებაზე, რომელიც მოედინება იესოს ჯვრიდან. ჯვარზე მომზდარი გაცვლის ორი ემოციური ას-პექტი, რომელიც იყო გაანალიზირებული ზე-მოთ, შეგვიძლია შემდეგნაირად შევაჯამოთ:

**იესომ იტვირთა ჩვენი სირცხვილი, რათა ჩვენ შეგვძლებოდა მისი დიდების ზიარება.**

**იესომ იტვირთა ჩვენი უარყოფა, რათა ჩვენ გვქონოდა შესაძლებლობა ვყოფილიყავით მიღე-ბულები მამის მიერ.**

ჯვარზე გაცვლის ის ასპექტები, რომლებიც ზე-მოთ განვიხილეთ, მოიცავს ადამიანთა ყველაზე უფრო ძირითად და აუცილებელ საჭიროებებს, მა-გრამ, უდაოდ მხოლოდ ამით არ ამოწურულა ის, რაც იესომ ჯვარზე მოიმოქმედა. სინამდვილეში, არ არსებობს არავითარი საჭიროება, რაც ადა-მიანის ღმეთის წინააღმდებ აჯანყებამ მოგვიტანა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯვარზე გაცვლის იგივე პრინციპებით: ბოროტი მოვიდა იესოზე, რათა ჩვენთვის შესაძლებელი ყოფილიყო სიკეთის შემოთავაზება. თუ ერთხელ უკვე ვის-წავლეთ ამ პრინციპის გამოყენება ჩვენს ცხოვრე-ბაში, ეს გამოანთავისუფლებს ღმერთის მთელს უზრუნველყოფას ჩვენი ყოველი საჭიროებისთვის. კიდევ რჩება ერთი, საბოლოო, გადამწყვე-ტი ასპექტი ამ გაცვლაში, რომელიც აღწერ-ილია პავლეს მიერ გალატელთა 3:13-14-ში:

ქრისტემ გამოგვისყიდა სჯულის წყებ-ლისაგან და გახდა წყეული ჩვენს ნაცვლად, ვინაიდან დაწერილია: წყეულია ყოველი დაკ-იდებული ძელზე, იმისათვის, რომ აპრაპამის კურთხევა ქრისტე იესოს მიერ იყოს ნარმართებზე, რათა სულის აღთქმა მივიღოთ რწმენით.

პავლე ჯვარცმულ იესოსთან მიმართებაში ამახ-ვილებს ყურადღებას მოსეს კანონის ამოქმედებაზე, რომელიც დაწერილია **მეორე რჯულის 21:23**-ში, რის თანახმადაც ადამიანი, რომელიც ისჯებოდა ძელზე დაკიდებით, ღმერთის წყევლის ქვეშ ექცეოდა. შემდეგ პავლე მიგვითითებს, რომ შედეგად საწინააღმდეგოს ვიღებთ: კურთხევას.

ჯვარზე გაცვლის ამ ასპექტის გასაანალიზებლად არაა საჭირო თეოლოგი, ისედაც აშკარაა:

**იესო გახდა წყევლა, რათა ჩვენთვის მოეცა შესაძლებლობა შევსულიყავით მის კურთხევაში.**

წყევლა, რომელიც მოვიდა იესოზე, განსაზღვრულია როგორც **რჯულის წყევლა**. მეორე რჯულის 28 თავში, მოსე იძლევა ამომწურავ სიას, როგორც კურთხევების, რომელიც რჯულის მორჩილებას მოყვება შედეგად, ასევე წყევლის, რომელიც მის დარღვევას მოსდევს. წყევლა, რომელიც ჩამოთვლილია **მეორე რჯულის 28:15-68**-ში, შეიძლება ასეთ სიად ჩამოვაყალიბოთ:

- შეურაცხყოფა
- სიბერწე, უნაყოფობა
- გონებრივი და ფიზიკური უძლურება
- ოჯახური ნგრევა
- სიღარიბე
- დამარცხებულობა
- შევიწროვბა
- ნარუმატებლობა
- ღვთის რისხვა

რომელიმე აქ ჩამოთვლილიდან ეხება თქვენს ცხოვრებას? არსებობს ისეთი რამ, რაც შავი ჩრდილივით გარს გარტყიათ და ღვთის კურთხევების იმ სინათლეს გიბნელებთ, რასაც თქვენ ელტვით და რისკენაც ისწრაფვით? თუ ასეა, სრულიად შესაძლებელია თქვენი პონბლემების პირველწყარო და ფესვი წყევლაში იყოს, რომლის-გან განთავისუფლებაც აუცილებლად გესაჭიროებათ. იმისთვის, რომ შეაფასო იესოზე მოსული წყევლის მთელი საშინელება, ეცადე წარმოიდგინო იგი ჯვარზე გაკრული.

იესო უარყოფილი თავისივე თანამემამულეების მიერ, უარყოფილი ერთერთი მოწაფის მიერ და მიტოვებული დანარჩენებისგან (თუმცა ზოგი მათგანი მოგვიანებით დაბრუნდა და თვალს ადევნებდა მის აგონიას ჯვარზე). ის ეკიდა ცას და მიწას შორის შიშველი. მისი სხეული გატანჯული იყო ურიცხვი ჭრილობებისგან მიყენებული ტკივილით, ხოლო შინაგანი დამძიმებული მთელი კაცობრიობის დანაშაულით. მიწამ უარყო იგი და ზეციდანაც აღარ იყო პასუხი მის ლალადზე. არც მზე აღარ აძლევდა სინათლეს და სიბნელემ დაფარა იესო, მისი სიცოცხლე სისხლთან ერთად ტოვებდა მას და ეღვრებოდა მტვრიან და ქვიან მიწას. ჯერ კიდევ სიბნელიდან, ვიდრე აღესრულებოდა, მან საბოლოოდ მაინც წამოიძახა ტრიუმფალური: **აღსრულდა!** ბერძნულ ტექსტშიც ეს წამოიძილი ერთი სიტყვისგან შედგება და ის ზმნის ისეთი ფორმით არის გამოხატული, რომელიც ნიშნავს **რაიმეს დამთავრებას**, **სრულყოფამდე მიყვანას**. ჩვენთვის გასაგებად ეს შეიძლება ითარგმნოს **როგორც ბოლომდე დამთავრდა** ან **სრულყოფილად შესრულდა**. იესომ აიღო საკუთარ თავზე ყველა ის ბოროტი შედეგი, რაც ღმერთის წინააღმდეგ აჯანყებამ მოუტანა მთელს კაცობრიობას. მან ამოწურა ყველა წყევლა, რომელიც ღვთის კანონის, რჯულის დარ-

ლვევას მოაქვს. ეს ყველაფერი იმისთვისაა, რომ ჩვენ სანაცვლოდ შეგვეძლოს ყველა იმ კურთხევის მიღება, რაც მისი მორჩილების გამო მოვიდა. ასეთი მსხვერპლი, რომელიც თავისი მოცულობით და დიაპაზონით უზარმაზარია და ყველაფერს მოიცავს, იმავდროულად გვაკვირვებს თავისი უბრალობით. შეძლებ კი რწმენით მიიღო იესოს ამ მსხვერპლის მთელი შედეგი და ყოველივე, რაც მან შენთვის მოიპოვა? გაქვს წყურვილი შეხვიდე ღმერთის სრულ უზრუნველყოფაში? არსებობს ერთი ბარიერი, რომლის გადალახვაც ყველას მოგვიწევს. ეს უპატიებელი, მოუნანიებელი ცოდვის ბარიერია. უკვე გაქვს აშკარა დარწმუნებულობა იმაში, რომ შენი ცოდვები ნაპატიებია იესოს მსხვერპლის გამო? თუ არა, სწორედ ამით უნდა დაიწყო. შენ შეგიძლია უბრალოდ ასეთი მარტივი ლოცვა აღავლინო:

ღმერთო, მე გავათვითცნობიერე და მივხვდი, რომ ცოდვილი ვარ და ჩემს ცხოვრებაში დარჩენილია მოუნანიებელი ცოდვა. მაგრამ მე მჯერა, რომ იესო დაისაჯა, რათა მე მიმედო პატიება, და ამიტომ მე გთხოვ ახლა: მაპატიე ყველა ჩემი ცოდვა იესოს სახელით.

ღმერთის სიტყვა გვპირდება, რომ თუ ჩვენ ვალიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, ერთგული და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და გაგვწმენდს ყოველგვარი უმართლობისაგან.

**1:9.** ჩაეჭიდეთ ღმერთის ამ სიტყვას! ამ წუთში ირწმუნეთ, რომ მან ნამდვილად გაპატიათ ყველა თქვენი ცოდვა! არსებობს ერთი მარტივი რამ, რითიც აუცილებლად უნდა უპასუხოთ ღმერთს ამ ყველაფერზე, ეს პასუხი ჭეშმარიტი რწმენის უმარტივესი და უწმიდესი გამოხატულებაა. ეს არის მადლობის თქმა. ახლავე გადაუხადეთ მადლობა! უთხარით: მადლობა, უფალო იესო, რომ შენ მიიღო სასჯელი ჩემს

ნაცვლად, რათა მე მებატიოს. მე არ მესმი ეს პოლოძდე, მაგრამ მე მწამს და მადლიერი ვარ შენი!

ცოდვის ამ ბარიერის ჩამოშორებით გზა ხსნილია თქვენთვის, რომ შეხვიდეთ ყველა სხვა უზრუნველყოფაში, რაც ღმერთმა გამოანთავისუფლა თქვენთვის ჯვრის მეშვეობით. როგორც ცოდვის პატიება, ასევე ყველაფერი დანარჩენიც უნდა მიიღოთ მარტივად, ღმერთის სიტყვის რწმენის მეშვეობით. ყველა ჩვენგანს აქვს საკუთარი, განსაკუთრებული საჭიროებები და ყველა ჩვენგანი უნდა მივიდეს ღმერთთან ინდივიდუალურად, რათა მივიღოთ მისი უზრუნველყოფა. აյ მოცემულია ზოგადი ფორმა და სიტყვები, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ, რათა გამოითხოვოთ ნებისმიერი უზრუნველყოფა, რომელიც აღწერილია ამ ბუკლეტში.

უფალო იესო, მადლობას გიხდი, რომ შენ იყავი დანერგულებული,  
რათა მე ვყოფილიყავი განკურნებული.

უფალო იესო, მადლობას გიხდი, რომ შენ გახდი ცოდვად ჩემი უმართლობით,  
რათა მე გავმართლებულიყავი შენი სიმართლით.

უფალო იესო, მადლობას გიხდი, რომ შენ  
მოკვდი ჩემი სიკვდილით,  
რათა მე მიმეღო შენი სიცოცხლე.

უფალო იესო, მადლობას გიხდი, რომ შენ იტკირთე ჩემი სილარიბე,  
რათა მე გეზიარებინე შენს სიუხვეს.

უფალო იესო, მადლობას გიხდი, რომ შენ იტკირთე ჩემი სირცეხვილი,  
რათა მე გეზიარებინე შენს დიდებას.

უფალო იესო, მადლობას გიხდი, რომ შენ გან-  
იცადე ჩემი უარყოფა,  
რათა მე მქონოდა შენგან მიღება და შვილობა  
მამის მიერ.

უფალო იესო, მადლობას გიხდი, რომ შენ გან-  
დი წყევლად ჩემს გამო,  
რათა მე შემძლებოდა შესვლა კურთხევაში.

ყოველი ეს ლვთიური უზრუნველყოფის მოსაცე-  
მელი, რომლისთვისაც ლოცულობდით, მზარდ-  
ია. თქვენმა საწყისმა ლოცვამ გამოანთავისუფ-  
ლა ლვთის ძალა თქვენს ცხოვრებაში. მაგრამ  
ეს უბრალოდ ათვლის წერტილია. იმისთვის,  
რომ აითვისოთ უზრუნველყოფის სრული მარაგი,  
რასაც ეძებთ, თქვენ დაგჭირდებათ სამი რამ:

1. მოიძიოთ ეს ჯეშმარიტება თქვენთვის ბიბ-  
ლიაში.
2. გამუდმებით იმეოროთ და ამტკიცოთ  
ჯვარზე გაცვლის ის ასეუქტი, რომელიც თქვენს  
საჭიროებას პასუხობს.
3. გამუდმებით განიმტკიცოთ თქვენი რწმენა  
ღმერთისადმი თქვენი მადლიერებით, იმისთვის,  
რაშიც მან უზრუნველგყოთ ჯვარზე გაცვლით.

რაც უფრო ხშირად უხდით ღმერთს მადლობას,  
მით უფრო მეტად გნამთ იმის, თუ რა მიმოქმედა  
მან თქვენთვის და რაც უფრო მეტად გნამთ,  
უფრო მეტად გინდათ, რომ ემადლიეროთ ღმერთს.  
ეს ორი რამ: რწმენა და მადლიერება, მადლიერება და  
რწმენა, სპირალური კიბის მსგავსად უფრო და უფრო  
მაღლა აგიყვანთ ლვთიური უზრუნველყოფის სისრულეში.

## გაცვლა, რომელიც მოხდა ჯვარზე

არსებობს ერთი, მხოლოდ ერთი ყოვლისმომცველი ბაზისი ღვთის წყალობის ყოველგვარი უზრუნველყოფისთვის: გაცვლა, რომელიც მოხდა ჯვარზე.  
იქსო დაისაჯა,  
რათა ჩვენ გავეძართლებინეთ.

იქსო ნაგვემი იყო,  
რათა ჩვენ მის ჭრილობებში განვეკურნეთ.

იქსო იქცა ცოდვად ჩვენი ცოდვილი ძდგო-  
მარების გამო,  
რათა ჩვენ შეგვძლებოდა გავმართლებულიყავით  
მისი სიმართლით.

იქსო მოკვდა ჩვენი სიკვდილით,  
რათა ჩვენ შეგვძლებოდა მისი სიცოცხლის  
მიღება.

იქსომ აიღო ჩვენი სიღარიბე,  
რათა ჩვენ შეგვძლებოდა მისი სიუხვის გა-  
ზიარება.

იქსომ აიტანა ჩვენი სირცხვილი,  
რათა ჩვენ შეგვძლებოდა მისი დიდების ზიარე-  
ბა.

იქსომ იტკირთა ჩვენი უარყოფა, რათა ჩვენ  
გვქონოდა შესაძლებლობა ვყოფილიყავით მიღე-  
ბულები მამის მიერ.  
იქსო გახდა წყველა,  
რათა ჩვენთვის მოეცა შესაძლებლობა შევსული-  
ყავით მის კურთხევაში.

ეს სია არ არის სრული. არსებობს ჯვარზე  
გაცვლის სხვა ასეექტებიც, რომელებიც შეიძლება

დაემატოს მას. მაგრამ, ყველა მათგანი იმ უზრუნველყოფის სხვა და სხვა სახეობაა, რომელიც ღმერთმა შექმნა ჩვენთვის იესოს მსხვერპლის მეშვეობით. ბიბლია აერთიანებს ყველა მათგანს ერთ, ყოვლის შემცველ და ყოვლის მომცველ სიტვაში: ხსნა. ქრისტიანები ხშირად განსაზღვრავენ ხსნას, როგორც მხოლოდ ერთხელ განცდილ მონანიებას და ზეციდან შობას. რა თქმა უნდა ეს მშვენიერია, თუმცა ეს ჩვენი სრული ხსნის მხოლოდ პირველი ნაწილია, რაც გაგვიცხადა ღმერთმა ახალ აღთქმაში.

### **გაცვლა ჯვარზე**

იესომ აიღო სასჯელი... რათა ჩვენ მიგვეღო პატიება.

იესო იყო დაწყლულებული... რათა ჩვენ ყოფილიყავით განკურნებული.

იესო გახდა ცოდვა, ჩვენი ცოდვილობის გამო... რათა ჩვენ გავმხდარიყავითლმერთის სამართლიანობა, მისი სიმართლით.

იესო მოკვდა ჩვენი სიკვდილით... რათა ჩვენ შეგვძლებოდა მისი სიცოცხლის მიღება.

იესომ იტვირთა ჩვენი სილარიზე... რათა ჩვენთვის გაეზიარებინა თავის სიუხვე.

იესომ აიტანა ჩვენი სირცხვილი, დამცირება... რათა ჩვენთვის გაეზიარებინა თავისი დიდება.

იესო იყო უარყოფილი მამის მიერ ჩვენს ნაცვლად... რათა ჩვენ ვყოფილიყავით მიღებულები.

მამის მიერ. იესო იქცა წყევლად... რათა ჩვენთვის მოეცა შესაძლებლობა შევსულიყავით მის კურთხევაში.

## გაცვლა პეტრზე

- ებრაელთა 10:14; ფილიპელთა 4:19;  
დასვად - პატიება  
ესაია 53:6; რომაელთა 5:1;  
დაწყლულება - განკურნება  
ესაია 53:4; 1 პეტრეს 2:24;  
ცოდვად გახდომა - გამართლება  
2 კორინთელთა 5:21; ესაია 53:10;  
სიკვდილი - სიცოცხლე  
რომაელთა 6:23;  
სიღარიბე - სიუხვე  
2 კოერინთელთა 8:9; 2 კოერინთელთა 9:8;  
სირცხვილი - დიდება  
ებრაელთა 12:2;  
უარყოფა - მიღებულობა  
მათე 27:46,50; ეფესელთა 1:5-6;  
წყევლა - კურთხევა  
გალატელთა 3:13-14; მეორე რჯული 21:23;

